




ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო



განკარგულება № 14

2011 წლის 11 თებერვალი

ქალაქი ხაშური

მოქალაქე თეიმურაზ კაპანაძის განცხადების განხილვა ქ. ხაშურში კოსტავას ქუჩაზე მდებარე ყოფილი „რკინიგზელთა სახლი №18“-ის მისამართის დადგენის შესახებ

ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოში შემოსულია ქ. ხაშურში კოსტავას ქუჩაზე მდებარე ყოფილი „რკინიგზელთა სახლი №18-ში“ მცხოვრები მოქალაქე თეიმურაზ კაპანაძის განცხადება, აღნიშნული საცხოვრებელი სახლის მისამართის დადგენის შესახებ. „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ც“ ქვეპუნქტის და საკრებულოს სახელდებისა და სიმბოლოების საკითხთა შემსწავლელი დროებითი სამუშაო ჯგუფის დასკვნის შესაბამისად:

1. ქ. ხაშურში კოსტავას ქუჩაზე მდებარე ე.წ. „რკინიგზელთა სახლი №18“-ის მისამართი დადგენილი იქნას „ქ. ხაშური კოსტავას ქუჩა №32“
2. ეს განკარგულება ძალაში შედის არსებული კანონმდებლობის შესაბამისად;
3. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ კანონმდებლობით დადგენილი წესით ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოში (ქ.ხაშური, ტაბიძის ქ.№2), ხოლო შემდგომ რაიონულ სასამართლოში (ქ.ხაშური, კოსტავას ქ.№15) ერთი თვის ვადაში.

საკრებულოს თავმჯდომარე

დავით ლომიძე

